პრეზიდენტ დიტერ ფ. უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველი

ღვთის მოსავალი

ყო ერთი ქალბატონი, კრისტა, რომელიც მუშაობდა პატარა კომპანიაში, სადაც იგი თესლებს ყიდიდა. მას ძალიან უყვარდა თავისი საქმე. ის, რომ ყოველ პაწაწინა თესლს, რომელსაც იგი ყიდიდა, შესწევდა იმის ძალა, რომ გადაქცეულიყო საოცარ სტაფილოდ, კომბოსტოდ ან ძლიერ მუხის ხედაც კი, წარმოადგენდა უკიდეგანო საოცრებას.

კრისტას ძალაინ უყვარდა კომპიუტერთან ჯდომა, როცა იგი შეკვეთებს იღებდა და კითხვებს პასუხობდა, მაგრამ ერთხელ მან საჩივარი მიიღო, რომელმაც იგი გააკვირვა.

„თესლები არ იზრდება“, – უთხრა კლიენტმა. „მე ისინი ორი თვის წინ ვიყიდე და ჯერ არაფერი არ მომხდარა“.

„კარგ ნიადაგში დათესეთ? საკმარისი წყალი და მზის შუქი თუ მიაწოდეთ“? – ჰკითხა კრისტამ.

„არა, მაგრამ მე გავაკეთე, რაც მეხებოდა“, – უპასუხა კლიენტმა. „მე ვიყიდე თესლი *გარანტიით,* რომ ის აღმოცენდებოდა“.

„როგორ, თქვენ არ დათესეთ ის“?

„რა თქმა უნდა არა. ხელებს ხომ არ დავისვრიდი“.

კრისტა დაფიქრდა და განიზრახა, დაეწერა დათესვის ინსტრუქცია. მან გადაწყვიტა, რომ ინსტრუქციის პირველი ნაბიჯი იქნებოდა: „იმისთვის, რომ თესლი ამოვიდეს, მიჰყევით ინსტრუქციას. თაროზე დადებით ის არ ამოვა“.

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც მეორე საჩივარმა გააკვირვა.

„თესლი უნაყოფო გამოდგა“, – დაწერა კლიენტმა.

„კარგ ნიადაგში დათესეთ“? – ჰკითხა კრისტამ. „საკმარისი წყალი და მზის შუქი მიაწოდეთ“?

„რა თქმა უნდა“ – უპასუხა კლიენტმა. ყველაფერი ზუსტად ისე გავაკეთე, როგორც შეფუთვაზე ეწერა, მაგრამ მოსავალი ვერ მივიღე“.

„საერთოდ არაფერი არ მომხდარა? არც ამოსულა“?

„არაფერი“, – უპასუხა კლიენტმა. „მე ის დავთესე ზუსტად ინსტრუქციის მიხედვით. იმედი მქონდა, რომ სადილზე პომიდორი მექნებოდა. ახლა ძალიან გულდაწყვეტილი ვარ“.

„მოიცადეთ“, – უპასუხა კრისტამ. თქვენ დღეს დათესეთ თესლი“?

„არა, რას ბრძანებთ“, – უპასუხა კლიენტმა. „მე ის ერთი კვირის წინ დავთესე. სულაც არ ველოდებოდი პომიდორს პირველ დღეს; მე მოთმინებით ველოდებოდი მოსავალს. შემდეგ ბევრს ვრწყავდი და დიდხანს ველოდებოდი ნაყოფს“.

კრისტამ იცოდა, რას ჩაწერდა ინსტრუქციის მეორე პუნქტში: „თესლი ემორჩილება ბიოლოგიის კანონებს. თუ თქვენ მას დილით დათესავთ და კვირის ბოლოს პომიდვრის მოსავალს ელით, გულგაცრუება გელით. მოთმინებით დაელოდეთ ბუნების კანონს და იხილეთ იგი თქვენს თვალწინ“.

ყველაფერი კარგად იყო, სანამ კრისტამ კიდევ ერთი საჩივარი არ მიიღო.

„მე ძალიან უკმაყოფილო ვარ ამ თესლით“,

– დაიწყო კლიენტმა. „მე დავთესე იგი მითითებების ზუსტი დაცვით. ვრწყავდი, საკმარისი მზის შუქი უზრუნველვყავი და დაველოდე, სანამ ის საბოლოოდ არ მოიტანდა მოსავალს“.

„თითქოს ყველაფერი სწორად გააკეთეთ’, – უპასუხა კრისტამ.

„ეს ყველაფერი კარგია“, – თქვა კლიენტმა. „მაგრამ მე ცუკინი გამეზარდა“!

„ჩემი ჩანაწერების თანახმად თქვენ ეს თესლი შეუკვეთეთ“, – თქვა კრისტამ.

„მაგრამ მე ცუკინი კი არა, გოგრა მინდა“!

„ვერ გავიგე“?

„მე თესლი გოგრის ადგილას დავთესე, იმავე ნიადაგში, სადაც შარშან გოგრა მოვიყვანე. ყოველდღე ვაქებდი ამოსულ მცენარეებს, ვეუბნებოდი, როგორ მშვენიერ გოგრებს მოისხავდნენ ისინი. მაგრამ დიდი, ნარინჯისფერი გოგრების ნაცვლად მე გრძელი, მწვანე ცუკინი მივიღე. უამრავი რაოდენობით“!

კრისტა მიხვდა, რომ ინსტრუქცია არ იქნებოდა საკმარისი და საჭირო იყო გამოეცხადებინა კანონი: „მოსავალი განისაზღვრება თესლისა და დათესვის დროის მიხედვით“.

მოსავლის კანონი

პავლე მოციქული გვასწავლიდა ღვთის მოსავლის შესახებ:

„ვინაიდან, რასაც დათესავს კაცი, იმას მოიმკის.

„ვინც თავის ხორცისთვის თესავს, ხორცისგან მოიმკის ხრწნილებას, ხოლო ვინც სულისთვის თესავს, სულისგან მოიმკის საუკუნო სიცოცხლეს.

„სიკეთის კეთება ნუ მოგვეწყინება, რადგან თავის დროზე მოვიმკით, თუ არ მოვდუნდებით“(გალატელთა 6:7–9).

ბოლო დროს უფალმა მოგვცა დამატებითი სიბრძნე და გამჭრიახობა ამ შეუქცევადი კანონის თაობაზე:

„არსებობს კანონი, სამუდამოდ გამოცემული ზეცაში ამ სამყაროს შექმნამდე, რომელზედაც დაფუძნებულია ყოველი ლოცვა-კურთხევა.

და როცა ჩვენ ვიღებთ ღმერთისგან ნებისმიერ დალოცვას, ეს ხდება იმ კანონის მორჩილების გამო, რომელზედაც იგი დაფუძნებულია (მოძღვრება და აღთქმები 130:20–21).

რასაც დავთესავთ, იმას მოვიმკით.

ღვთის მოსავალი წარმოუდგენლად დიდებულია. მათთან, ვინც თაყვანს სცემს ღმერთს, მისი უხვი კურთხევები მოდის „კარგი საწყაო, დატკეპნილი, გატენილი და პირთამდე სავსე. . . . რადგან რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვებათ“ (ლუკა 6:38).

ზუსტად ისე, როგორც ადრეული თესლი ითხოვს ძალისხმევასა და მოთმინებას, ასევე მრავალი დალოცვა ზეცაში. ჩვენ ვერ დავდებთ ჩვენს რელიგიას თაროზე და ვერ დაველოდებით სულიერი ლოცვა-კურთხევების მოსავალს. მაგრამ თუ ჩვენ დავთესავთ და მოვუვლით სახარების სტანდარტებს ჩვენი ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ჩვენი შვილები გაიზრდებიან იმისთვის, რომ მოიტანონ თავისთვის და მომავალი თაობებისთვის დიდი ფასეულობის სულიერი ნაყოფი.

ღმერთის პასუხი ჩვენს ლოცვებზე ყოველთვის არ მოდის უმალ. ზოგჯერ თითქოს და საერთოდ არ მოდის, მაგრამ ღმერთმა იცის, რა არის საუკეთესო მისი შვილებისთვის. ნამდვილად, დადგება დღე, როცა ჩვენ უფრო ნათელი ხედვა გვექნება; და ამ დღეს ჩვენ ამოვიცნობთ ზეცის სიკეთესა და სიუხვეს.

მანამდე კი ჩვენი მიზანი და დიდი სიხარული არის ჩვენი მხსნელისა და მოძღვრის კვალდაკვალ სიარული და კარგი, სუფთა ცხოვრებით ცხოვრება, რათა ღვთის ფასდაუდებელი ლოცვა-კურთხევების ძვირფასი და დაპირებული მოსავლის აღება შევძლოთ.

რასაც დავთესავთ, იმას მოვიმკით.

ეს არის ზეცის კანონი.

ეს არის ღვთის მოსავლის კანონი.

ამ მოწოდების სწავლება

განიხილეთ მათთან ერთად, ვისთანაც სტუმრობთ, თუ როგორ მიესადაგება ღვთის მოსავლის კანონი ურთიერთობებს, მოქცევასა და მოწმობას, ან კარიერასა და საგანმანათლებლო მიზნებს. თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ და განიხილოთ ამ კანონთან დაკავშირებული ამონარიდები წმინდა წერილებიდან, მაგალითად იგავები 11:18; 2 კორინთელთა 9:6; და ალმა 32.

შეაგულიანეთ ისინი, გაიმეორონ წინათ დასახული მიზნები და დასვით ახალი მიზნები მართალი შედეგების მისაღებად. დაეხმარეთ მათ, შეიმუშაონ თანმიმდევრული ქმედებების გეგმა იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც დიდ დროს მოითხოვენ.

ბავშვები

დაგეგმეთ თქვენი მოსავალი

ღვთის სამკალის კანონი ნიშნავს იმას, რომ თუ ჩვენ გვსურს მომავალში რაღაცის მიღწევა, საამისოდ ახლა უნდა ვიმუშაოთ. თუ გვსურს ბაღი გავაშენოთ, თესლი უნდა დავთესოთ, მოვრწყათ და გავმარგლოთ. თუ ასე არ მოვიქცევით, მომავალში მოსავალს ვერ მივიღებთ!

ქვემოთ მოყვანილია „კარგი“ ნაყოფის ჩამონათვალი, რომელიც გსურთ ცხოვრებაში. ჩამოწერეთ ის, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ ამ თვეში ლოცვა-კურთხევების მისაღებად.

- ბედნიერი ოჯახი
- განათლება
- კარგი მეგობრები
- ნათლობა და წევრად დამტკიცება
- მოწმობა იესო ქრისტეს შესახებ

© 2014 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *First Presidency Message, August 2014.* Georgian. 10868 131

იესო ქრისტეს ღვთიური მისია: მესია

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

*ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ ზრდის მხსნელის ცხოვრებისა და როლის უკეთ გაგება თქვენს რწმენას უფალში და ლოცავს მათ, ვისზეც თქვენ ზრუნავთ სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი*www.reliefsociety.lds.org*reliefsociety.lds.org.*

ეს არის შინა მასწავლებლის მოწოდებების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის მისიის ზოგიერთ ასპექტს.

წმინდა წერილში ნათქვამია, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიმყოფებოდეთ ღმერთის გარემოცვაში „წმინდა მესიის დამსახურების, მოწყალებისა და წყალობის მეშვეობით“ (2 ნეფი 2:8). *მესია* არის „არამეული და ებრაული სიტყვა, რომელიც ნიშნავს ‘ცხებულს’. . . . ახალ აღთქმაში იესოს ეძახიან ქრისტეს, რაც არის *„მესიას“* ბერძნული ექვივალენტი. ეს ნიშნავს ცხებულ წინასწარმეტყველს, მღვდელს, მეფესა და მხსნელს.“[1]

უხუცესი ჯეფრი რ. ჰოლანდი თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან მოწმობდა: „მე ვიცი, [იესო ქრისტე] არის ისრაელის წმინდა, მესია, რომელიც ერთ დღეს კვლავ მოვა საბოლოო დიდებით, რათა იმეფოს დედამიწაზე როგორც უფალთა უფალმა და მეფეთა მეფემ. მე ვიცი, რომ არ არის სხვა სახელი ზეცის ქვეშ, რომლის მეშვეობითაც ქალი ან მამაკაცი გადარჩება“.[2]

“[იესო ქრისტე არის სამყაროს მხსნელი და გამომსყიდველი“, – თქვა პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველმა, პრეზიდენტმა დიტერ ფ. უხთდორფმა. „იგი დაპირებული მესიაა. ის სრულყოფილი ცხოვრებით ცხოვრობდა და ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად შეწირა თავი. იგი მუდამ ჩვენს გვერდით იქნება. იგი ჩვენს ბრძოლებში იბრძოლებს. ის ჩვენი იმედია; იგი ჩვენი ხსნაა; იგი არის გზა“.[3]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

იოანე 1:38–41; 4:25–26, 40–42; 2 ნეფი 6:13; 25:16–17

წმინდა წერილიდან

ქრისტეს ქალი მოწაფეები, იყვნენ მოწმენი მისი როლის, როგორც მესიისა. მარიამ მაგდალელი იესო ქრისტეს მოწაფე იყო. იგი იყო პირველი, ვინც ქრისტეს აღდგომის დილით დაინახა, რომ „ლოდი გადაგორებულია სამარხიდან“ . იგი „იდგა სამარხთან, გარეთ და ტიროდა“, როცა აღმოაჩინა, რომ მისი სხეული აღარ იყო სამარხში.

შემდეგ იგი „მოტრიალდა და დაინახა მდგომარე იესო. მაგრამ ვერ იცნო, რომ იესო იყო.

„ეუბნება მას იესო: ქალო, რატომ სტირი, ვის ეძებ? მას მებაღე ეგონა იგი და ეუბმება მას: ბატონო, თუ შენ წაიღე, მითხარი, სად დადე და მე წამოვიღებ.

„ეუბნება მას იესო: მარიამ! მოტრიალდა მარიამი და ებრაულად უთხრა: რაბუნი! (რაც ნიშნავს: მოძღვარო). მარიამი მიხვდა, რომ ის მებაღე კი არა, იესო ქრისტე, მესია იყო (იხ.იოანე 20:1–17.)

შენიშვნები

1. Guide to the Scriptures, “Messiah”; scriptures.lds.org.
2. Jeffrey R. Holland, “The Only True God and Jesus Christ Whom He Hath Sent,” *Liahona,* Nov. 2007, 42.
3. დიტერ ფ. უხთდორფი, “The Way of the Disciple,” *Liahona,* მაისი 2009, 78.

განიხილეთ შემდეგი

რატომ არის მნიშვნელოვანი, გავიგოთ მხსნელის, როგორც მესიის, როლი?

© 2014 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *Visiting Teaching Message, August 2014.* Georgian. 10868 131